ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

10 ნოემბერი 2025 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
13:00 სთ

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,
კომისიის წევრები- გიორგი დოხტურიშვილი,ბექა მიქაუტაძე,ზურაბ აბაშიძე,ლევან აბაშიძე,ალექსანდრე მუკათარიძე,მამიკა ხაბარელი, ვაჟა კოკაია,დავით ფანჯაკიძე,ირაკლი ბენდელიანი
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
კომისიის თავვმჯდომარე მიესალმა კომისიის წევრებს და მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად შესთავაზა გიორგი დოხტურიშვილის კანდიდატურა, რასაც დაეთანხმა კომისიის ყველა წევრი.
მან გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი:
1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

(**№11-01253111506 საკრ.№15-032531134-03 7/11/2025)**

დღის წესრიგი დამტკიცდა.
დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.
გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, იზრდება ქვეპროგრამის „გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში“(პროგ/კოდი 01 01 09) წლიური ასიგნება - 60 000 ლარით, შესაბამისად მცირდება ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა და აღდგენა“(პროგ/კოდი 01 01 01) წლიური ასიგნება - 60 000 ლარით.
მომხსენებელის განმარტებით, ახალდაბის ქუჩაზე მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურმა შეასრულა სანიაღვრე შემკრები არხის რეაბილიტაციის სამუშაოები. დასაგებია ასფალტის საფარი, რისი ფინანსური რესურსიც გამგეობას არ გააჩნია. ზემოაღნიშნულ ობიექტზე რომ არ დარჩეს გზის საფარი მოუწერიგებელი და დიდი ნალექის მოსვლის შემთხვევაში გაჭრილი არხის დაზიანება და მილების ამოყრა, გამგეობა ითხოვს 60 000 ლარის დამატებას.
იზრდება პროგრამის „გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია „(პროგ/კოდი 02 05) წლიური ასიგნება - 3 000 000 ლარით თბილისის მასშტაბით ახალი (გარე განათება და მხატვრული მინათება) სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოებთან,შესაბამისად მცირდება ქვეპროგრამის „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება,მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“ (პროგ/კოდი 02 01 01) წლიური ასიგნება.
იზრდება პროგრამის „ კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 08 05) წლიური ასიგნება - 200 000 ლარით.

მომხსენებელმა განმარტა რომ პროგრამის ფარგლებში არსებული რესურსი არ არის საკმარისი წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების ხელშესაწყობად, რაც ხელს შეუშლის დედაქალაქში კულტურული პროცესების უწყვეტობას. შესაბამისად მცირდება პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი“ (პროგ/კოდი 08 09) წლიური ასიგნება.
ასევე იზრდება „სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქციის“ ქვეპროგრამის(კოდი 08 06 03) წლიური ასიგნება ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, შესაბამისად მცირდება „სპორტული დაწესებულებების მატერიალურტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობის“ ქვეპროგრამის წლიური ასიგნება (კოდი 08 06 04).

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა -პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა ისაუბრეს მათ სამაჟორიტარო ოლქებში არსებული პრობლემების შესახებ.
კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა მოხდება როგორც კომისიურად, ასევე ფრაქციის ფორმატში,სადაც შეიძლება მსჯელობა არსებულ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზების გამონახვა.
სხდომის დასასრულს კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი.
მომხრე-10
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი,“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კულტურის,განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები, ასევე ნაძლადევის რაიონული გამგეობა ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ლევან არველაძე**